ლელო

№20 (10931)

7-13 ივნისი.1995 წ.

ფასი 600 რუბლი, ან 175 000 კუპონი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

7 ივნისს ევროპის სტადიონებზე გაიმართება კონტინენტის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის 15 კალენდარული შეხვედრა, რომელთაგან საქართველოს ფეხბურთის მოყვარულთა კანონიერ ინტერესს იწვევს მატჩი:

უელსი — საქართველო



თბილისი, 1994 წლის 16 ნოემბერი. საქართველო — უელსი 5-0. ა. კოტორაშვილის ფოტო.

მაიკლ სმითი ვეტერანების იმედითაა

ევროპის ჩემპიონატის VII შესარჩევ ჯგუფში, შეიძლება ითქვას, ბევრი რამ უკვე გარკვეულია: პირველი და მეორე ადგილები მტკიცედ უკავიათ ბულგარელებსა და გერმანელებს. რა თქმა უნდა, ჭერჭერობით ვერავინ იტყვის ვინ იქნება მათ შორის პირველი, ვინაიდან აქ დიდი მნიშვნელობა აქვს უშუალოდ ბულგარეთ-გერმანიის 7 ივნისის მატჩს სოფიაში. აი, მესამე ადგილისათვის ბრძოლაში კი ბევრი რამ ამავე დღეს ქ. კარდიფის „ნინიან-პარკზე" გადაწყდება, სადაც უელსელები საქართველოს ნაკრებს მიიღებენ.

უელსის ნაკრები შესარჩევ თამაშებში გაცილებით უარესად გამოდის, ვიდრე მოელოდნენ. მართლაც, პირველ მოგებას ალბანელებთან (2-0) მოჰყვა ზედიზედ 4 დამარცხება და გუნდმაც ბოლო ადგილზე გადაინაცვლა. მართალია, ამის შემდეგ იყო ფრე (1-1) სტუმრად გერმანიის ნაკრებთან, თანაც უელსელებს ოთხი დარჩენილი მატჩიდან სამი საკუთარ მინდორზე აქვთ და, ამდენად, არ კარგავენ მესამე ადგილზე გასვლის იმედს. ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი, სწორედ 7 ივნისის მატჩის შედეგზეა დამოკიდებული.

ახლა, როგორც გერმანულ ჟურნალ „კიკერის" მიმომხილველს ვოლფგანგ ტობიენს მიაჩნია, უელსელთა მწვრთნელს მაიკლ სმითს ძირითადად თავისი ვეტერანების იმედი აქვს, რომლებმაც გაუმართლეს კიდეც გერმანელებთან მძიმე მატჩში.

გავიხსენოთ ეს შეხვედრა, რომელსაც დიუსელდორფში 43.461 მაყურებელი ესწრებოდა. მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია და „რაინშტადიონზე" არც ერთი თავისუფალი ადგილი არ იყო.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გერმანია — კეპკე (მაინის ფრანკფურტის „აინტრაპტი"), როტერი (დორტმუნდის „ბორუსია"), აილტსი (ბრემენის „ვერდერი"), ბაბელი (მიუნხენის „ბაიერნი"), ფროინდი (დორტმუნდის „ბორუსია"), ბასლერი (ბრემენის „ვერდერი"), რომელიც 76-ე წუთზე შეცვალა შოლმა (მიუნხენის „ბაიერნი"), ციგე (მიუნხენის „ბაიერნი"), რომელიც 86-ე წუთზე შეცვალა კუნცმა („კაიზერსლაუტერნი"), ვებერი (მაინის ფრანკფურტის „აინტრაპტი"), ჰესლერი („კარლსრუე"), ჰერლიხი (მეიენხენგლადბახის „ბორუსია"), კლინსმანი (ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური").

ახლა კი დავაკვირდეთ უელსელთა შემადგენლობას: სოუთჰოლი („ევერტო-

იხ. მე-3 გვ.

რადიორეპორტაჟი 23 საათსა და 30 წუთზე

5 ივნისს დილის 11 საათზე უელსს ჩარტერული რეისით გაფრინდნენ საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პროგრამამთ მათი მეტოქე მასპინძელი ქვეყნის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები იქნებიან.

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ 7 ივნისს ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩის პირდაპირი რადიორეპორტაჟი ღამის თორმეტის ნახევარზე მოეწყობა, ხოლო ტელემაყურებლები ამ შეხვედრის ვიდეოჩანაწერს მეორე დღეს იხილავენ.

მცირერიცხოვან ქართველ სპორტულ ჟურნალისტთა კორპუსში, რომელიც თან ახლავს ჩვენს სპორტულ დელეგაციას, იმყოფება „ლელოს" საფეხბურთო მიმომხილველი ჯემალ ჭიპაშვილი. ასე რომ, გაზეთის შემდეგ ნომერში ოპერატიულად მოგაწვდით მასალას უელსში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ.

გათამაშების კალენდარი

7.VI. ბულგარეთი — გერმანია
უელსი — საქართველო
მოლდოვა — ალბანეთი

6.IX. გერმანია — საქართველო
უელსი — მოლდოვა
ალბანეთი — ბულგარეთი

7.X. ბულგარეთი — ალბანეთი

8.X. გერმანია — მოლდოვა

11.X. უელსი — გერმანია
საქართველო — ბულგარეთი

15.XI. გერმანია — ბულგარეთი
მოლდოვა — საქართველო
ალბანეთი — უელსი.

ჯგუფში გატანილი ყველა გოლი (სულ — 49):

ბულგარეთი — 15. სტოიჩკოვი — 5, კოსტადინოვი — 4, ბალაკოვი — 3, პენევი — 2, ივანოვი — 1.

გერმანია — 10. კლინსმანი — 5, მათეუსი — 2, კირსტენი — 2, ჰერლიხი — 1.

საქართველო — 8. ქეცბაია — 3, შ. არველაძე — 3, ქინქლაძე — 1, გოგრიჭიანი — 1.

უელსი — 6. სანდერსი — 2, კოულმენი — 1, გიგსი — 1, სპიდი — 1, ბლეიკი — 1.

მოლდოვა — 5. ოპრია — 1, ბელოუსი — 1, სეკუ — 1, პოგორელოვი — 1, კლეშჩენკო — 1.

ალბანეთი — 5. კუშტა — 2, ზმიანი — 1, რაკლი — 1, კაცაი — 1.

სხაიკერები:

სტოიჩკოვი (ბულგარეთი) — 5
კლინსმანი (გერმანია) — 5
კოსტადინოვი (ბულგარეთი) — 4
ბალაკოვი (ბულგარეთი) — 3
ქეცბაია (საქართველო) — 3
შ. არველაძე (საქართველო) — 3
კირსტენი (გერმანია) — 2
მათეუსი (გერმანია) — 2
სანდერსი (უელსი) — 2
პენევი (ბულგარეთი) — 2
კუშტა (ალბანეთი) — 2

VII ჯგუფი

	ქვეყნები	1	2	3	4	5	6	ბ.	ქ.
1	ბულგარეთი			2-0	4-1 3-0	3-0 3-1		15-2	15
2	გერმანია			2-0	3-0	1-1	2-1 2-1	10-3	13
3	საქართველო	0-2	0-2		0-1	5-0	1-0 2-0	8-5	9
4	მოლდოვა	1-4 0-3	0-3	1-0		3-2	0-3	5-15	6
5	უელსი	0-3 1-3	1-1	0-5	2-3		2-0	6-15	4
6	ალბანეთი		1-2 1-2	0-1 0-2	3-0	0-2		5-9	3

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

პირველი ჯგუფი XXX ტური

„დურუჯი (ყვარელი) — „მარგვეთი" (ზესტაფონი) 2-4
„გურია" (ლანჩხუთი) — „დილა" (გორი) 0-0
„შევარდენი-1906" (თბილისი) — „ივერია" (ხაშური) 4-2
„დინამო" (ბათუმი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 3-0 (სტუმრები არ გამოცხადდნენ თამაშზე)
„სამტრედია" (სამტრედია) — „დინამო" (ზუგდიდი) 3-4
„ტორპედო" (ქუთაისი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 11-4
„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 10-5
„დინამო" (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 7-1

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (თბილისი)	30	25	3	3	125-33	78
„სამტრედია" (სამტრედია)	30	24	2	4	75-25	74
„კოლხეთი-1913" (ფოთი)	30	21	3	6	82-33	66
„დინამო" (ბათუმი)	30	16	6	8	69-40	54
„ტორპედო" (ქუთაისი)	30	15	2	13	69-51	47
„დინამო" (ზუგდიდი)	30	14	4	12	58-54	46
„მეტალურგი" (რუსთავი)	30	12	8	9	48-36	44
„დილა" (გორი)	30	10	7	13	25-35	37
„მარგვეთი" (ზესტაფონი)	30	10	6	14	35-53	36
„შევარდენი-1906" (თბ.)	30	8	8	14	35-48	32
„ივერია" (ხაშური)	30	9	4	17	42-58	31
„კახეთი" (თელავი)	30	7	10	13	37-59	31
„გურია" (ლანჩხუთი)	30	8	6	16	36-81	30
„დურუჯი" (ყვარელი)	30	8	3	19	28-65	27
„საპოვნელა" (თერჯოლა)	30	6	6	18	38-87	24
„სამგურალი" (წყალტუბო)	30	5	6	19	35-78	21

იხ. მე-4 გვ.

ᲓᲘᲠᲣᲡᲔᲣᲚ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲔᲚᲔᲕᲘᲐᲜ!

მძლეოსნობის ფედერაციის ყრილობამ პრეზიდენტის პოსტზე, უკონკურენტოდ, ღია კენჭისყრით კვლავ თამაზ მდინარაძეს გამოუცხადა ნდობა. ამავე წესით, ასევე მოცილის გარეშე ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია ყარამან საბანაშვილი. ფარული კენჭისყრის ორი ტური დასჭირდა გენერალური მდივნის შერჩევას, სადაც ოთხი კანდიდატურა იყო წარმოდგენილი. გაიმარჯვა გივი ჩადუნელმა, რომელიც ამ თანამდებობაზე წინა საარჩევნო პერიოდშიც მუშაობდა.

ყრილობამ ფედერაციის საპატიო თავმჯდომარედ კვლავ აირჩია გივი გამყრელიძე, ვიცე-პრეზიდენტად საზოგადოებრივ საწყისებზე — ჯემალ ჯიქურაული.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ

ცნობილი ჟურნალისტი, „ლელოს" ყოფილი თანამშრომელი გიორგი ჩოჩიშვილი მძლეოსნობის სამყაროში აღიარებული პიროვნებაა. საუნალო მანძილებზე რბენაში საქართველოს ნაკრების წევრი, ახალციხელი ზიგმუნდ ზილბერშტეინი ერთადერთი სპორტსმენი იყო, რომელიც ამ დღეებში ერევანში გ.გუკასიანის ხსოვნის საერთაშორისო მემორიალში მონაწილეობდა. პირველობა და სპეციალური პრიზი 5000 მ. რბენაში ჩვენმა მძლეოსანმა მოიპოვა.

„მწვრთნელი არ მყავს, ერევანში ალბათ ვერც წავიდოდი, მაგრამ ყველა პრობლემები ჩემმა მენეჯერმა გიორგი ჩოჩიშვილმა მომიგვარა — გვითხრა სპორტსმენმა.

სოფიკო ფულაია

ქართველი სპორტსმენები საერთაშორისო არბიელზე

მაია ლომინეიშვილი

ბრწყინვალე შედეგები ანკარაში

საქართველოს 10 წარმომადგენელი მონაწილეობდა მსოფლიო პირველობის ორ საჭადრაკო ზონალურ ტურნირში, რომელიც ანკარაში გაიმართა — 5 ქალი და 5 ვაჟი.



გია გიორგაძე

მთელი შეჯიბრება ქართველი მოჭადრაკე ქალების სრული უპირატესობის ნიშნით მიმდინარეობდა, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 17 წლის მაია ლომინეიშვილმა. ჩვენ ველოდით, რომ იგი საპრიზო ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტი იქნებოდა და ეს იმედი მთლიანად გამართლდა კიდეც. მართალია, დასაწყისში ჩვენი საერთაშორისო ოსტატი ოდნავ შეფერხდა, პირველი ყაიმის შემდეგ მეორე პარტია წააგო, მერე კი მაია შესანიშნავად იბრძოდა, მოიგო 5 შეხვედრა, 2 ყაიმით დასასრული და საბოლოოდ 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ეს დიდი გამარჯვებაა.

ასევე ჩინებულად თამაშობდნენ სხვა ჩვენი ქალებიც: 6-6 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა ნინო გურიელმა, საერთაშორისო ოსტატმა ნატო ეძგვერაძემ და ოსტატმა მირანდა ხორავამ, რომელმაც მეორედ შეასრულა საერთაშორისო ოსტატის ნორმა. ეს წოდება მას ფიდეს მორიგ კონგრესზე მიენიჭება.

ჯერჯერობით ბუნდოვანია საზონთაშორისო ტურნირის დარჩენილი 3 საგზურის ბედი. საქმე ის არის, რომ საქართველოს ჩემპიონმა ნათია ჯანჯღავამ ორ სომეხ-და ორ იუგოსლავიელ მოჭადრაკესთან ერთად V-IX ადგილები გაიყო, მათ 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს. ამ დარჩენილი 3 ადგილისთვის მალე იუგოსლავიაში მათ დამატებით მატჩ-ტურნირში უნდა ითამაშონ, ასე რომ, ნათია ჯანჯღავაც ინარჩუნებს საზონთაშორისო ტურნირში მოხვედრის შესაძლებლობას.

რაც შეეხება ვაჟთა ტურნირს, აქ მხოლოდ 3 საგზური გათამაშდა. 6-6 ქულით პირველი-მესამე ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა გია გიორგაძემ (საქართველო), საბერძნეთის უძლიერესმა მოჭადრაკემ ვასილიოს კოტრონიასმა და აშოტ ანსტასიანმა (სომხეთი). უკეთესი დამატებითი მონაცემებით პირველი პრიზი გიორგაძეს მიენიჭა. საგზურის მოპოვების შესაძლებლობა ჰქონდა დიდოსტატ ლაშა ჯანჯღავასაც, მაგრამ იგი ბოლო ტურში დამარცხდა. საინტერესოა, რომ საბერძნეთის სახელით გამოდიოდა ყოფილი თბილისელი ოსტატი იანას პოპოვი, რომელმაც ნიკოლაიდისის გვარი მიიღო.

ქალთა და ვაჟთა საზონთაშორისო ტურნირები გაისად სექტემბერში ერევანში დანიშნული.

ჭადრაკი

„ქართული ფენომენი დაეხმარა“

ქეთევან კახიანი

ასე დაასათაურა ქ. კარლსრუეს გაზეთმა „ბადიშეს ტაგბლატმა“ საჭადრაკო მიმოხილვა, რომელიც მიეძღვნა დიდოსტატ ქეთევან კახიანის ტრიუმფს მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში.

როგორც იცით, ქეთევან კახიანი ჩვენი ცნობილი მწვრთნელის გიორგი მაჭარაშვილის აღზრდილია, უკვე რამდენიმე წელია გერმანიის ქალაქ ძეგენშტურმში ცხოვრობს და ამ ქვეყნის ქალთა ნაკრებში პირველ დაფაზე თამაშობს. ამჟამად ქეთევანის მიზანია მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლაში მონაწილეობა, ამიტომ დასაწყისისთვის საჭირო იყო ცენტრალური ევროპის ქვეყნების (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია, სლოვენია) ზონალურ ტურნირში წარმატებით გამოსვლა, უფრო ზუსტად კი, აუცილებლად პირველი ადგილის დაკავება, ვინაიდან მხოლოდ იგი იძლეოდა მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო ტურნირის საგზურს.

ქ.კახიანი ერთი თვე ემზადებოდა ამ მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის გიორგი მაჭარაშვილთან ერთად, შემდეგ კი დიდოსტატი და მისი მწვრთნელი სლოვენიის ქალაქ ფტუუში გაემგზავრნენ, სადაც გაიმართა ზონალური ტურნირი 12 დიდოსტატისა და ოსტატის მონაწილეობით.

თავისთავად ცხადია, ბრძოლა პირველი ადგილისთვის უაღრესად მწვავე იყო, მასზე პრეტენზიას მონაწილეთა ნახევარი მაინც აცხადებდა, მათ შორის იყო ცნობილი დიდოსტატი ტატიანა ლემაჩკო, რომელიც ადრე მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლებოდა.

და მაინც, ქეთევან კახიანმა პირველი ადგილი არავის დაანება. მან 11 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა (5 მოგება, ამდენივე ყაიმი, 1 წაგება) და ასეთ წარმატებაში, გერმანელ მიმომხილველ ჰარტმუტ მეცის სიტყვით, მას „ქართული ფენომენი დაეხმარა“.

7-7 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა ტატიანა ლემაჩკომ (შვეიცარია), ოსტატმა ანკე კოგლინმა (გერმანია) და კიტი გროსარმა (სლოვენია).

ახლა ქეთევან კახიანისთვის მთავარი იქნება მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო ტურნირისთვის მზადება, თანაც, გასაგებია, გაცილებით უფრო რთული პრობლემების წინაშე დადგება. საზონთაშორისო ასპარეზობის თარიღი ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მანამდე კი, კახიანი რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს და, გარდა ამისა, მონაწილეობას მიიღებს გერმანიაში გამართულ სხვადასხვა გუნდურ შეჯიბრებაში.

ბივი გამრეკელი

ევროპის ჩემპიონატი მინსკი, 19-21 მაისი.

52 კგ. 1. ჯ. მამედოვი (აზერბაიჯანი), 2. ნ. ციპანდინი (ბელარუსი), 3. ვ. კოზლოვი (უკრაინა) და ვ. ტარასოვი (რუსეთი).

57 კგ. 1. ო. მანუკიანი (სომხეთი), 2. პ. აფანასიევი (უკრაინა), 3. ნ. ვრაჩოვი (ბულგარეთი) და ა. იგნატიევი (რუსეთი)... 8. ვ. ჩანადირი (საქართველო).

62 კგ. 1. ნ. ბაგიროვი (ბელარუსი), 2. ა. ლოგვინოვი (რუსეთი), 3. ა. ბაკშენოვი (უკრაინა) და მ. თურქია (საქართველო).

68. 1. ი. ნეტოვი (ბულგარეთი), 2. ი. სოროკინი (რუსეთი), 3. ვ. დანილოვი (ბელარუსი) და ვ. მელიქიანი (სომხეთი).

74 კგ. 1. ა. კუსპიში (უკრაინა), 2. ნ. იგრუშკინი (რუსეთი), 3. ჯ. მუზაშვილი (საქართველო) და შ. კასიმოვი (აზერბაიჯანი).

82 კგ. 1. პ. ფუნტიკოვი (რუსეთი), 2. მ. ჯანანაშვილი (საქართველო), 3. ე. მარტიროსიანი (უკრაინა) და ი. ემინი (იუგოსლავია).

90 კგ. 1. ს. ლაპავოკი (რუსეთი), 2. ი. გამხიტაშვილი (საქართველო), 3. ვ. ფლორესკუ (მოლდოვა) და ე. ფოლადოვი (აზერბაიჯანი).

100 კგ. 1. ე. დალინინი (ბელარუსი), 2. რ. ბორისენკო (უკრაინა), 3. მ. მერალიევი (აზერბაიჯანი) და ი. ახალბედაშვილი (საქართველო).

+100 კგ. 1. მ. პასანოვი (რუსეთი), 2. ო. გრიციშინი (უკრაინა), 3. ვ. ემელიანოვი (ბელარუსი) და ვ. ბარანაუსკასი (ლიტვა)... ვ. პარუნაშვილი (საქართველო) მოიხსნა შეჯიბრებიდან.

გუნდური ადგილები: 1. რუსეთი, 2. უკრაინა, 3. ბელარუსი, 4. საქართველო.

მედლები ქვეყნებს შორის განაწილდა ასე:

	ო.	ვ.	ბ.
რუსეთი	3	3	2
უკრაინა	1	3	3
ბელარუსი	2	1	2
საქართველო	—	2	3
აზერბაიჯანი	1	—	3
სომხეთი	1	—	1
ბულგარეთი	1	—	1
იუგოსლავია	—	—	1
მოლდოვა	—	—	1
ლიტვა	—	—	1

„ლელოს“ კორესპონდენტი ესაუბრა სამბისტთა ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელს ოლეგ იაძეს, რომელმაც რამდენიმე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ჩვენში ჭიდაობის ამ სახეობის დღევანდელ მდგომარეობასა და პერსპექტივებზე.

● ჩემპიონატის შედეგებით ალბათ კმაყოფილი ხართ?

— პრეტენზიები მოჭიდავეთა მიმართ, ცხადია, არ გვეთქმის. სამ ასაკობრივ ჯგუფში 14 საპრიზო ადგილი, თანაც მაგრამ მეორე წელია ჩვენთვის შეკრება არ გაუმართავთ. შეჯიბრებებზე დავდივართ ისე, როგორც ეს მიღებული იყო საუკუნის დასაწყისში — წმინდა წყლის ენთუზიაზმის ხარჯზე. არადა, შეკრებაზე სპორტსმენი გარდა იმისა, რომ „სისტემაში მოდის“ და გარკვეულ რეჟიმს ეჩვევა, უბრალოდ, უკეთესადაც იკვებება...

● გამოდის რომ სპონსორებს ვერ შოულობთ?

ერთი ოქროს, ხუთი — ვერცხლისა და რვა ბრინჯაოს მედალი იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ, სპორტის ამ სახეობაში, როგორც იციან ხოლმე თქმა, სიტუაციას ვაკონტროლებთ, თუმცა, ისეც უნდა ვთქვათ, რომ ეს წარმატება ხარისხობრივად უკეთესიც შეიძლება ყოფილიყო...

● ვიცით, რომ ქართულ სპორტში დღეს უამრავი ხელისშემშლელი პირობებია. მაგრამ, იქნებ, მოკლედ მაინც მოგვახსენოთ თქვენი სატკივარი?

— ერთ უცნაურ კანონზომიერებას მინდა გავუსვა ხაზი. ბოლო წლებია, სამბოს საქართველოსათვის იმდენი უმაღლესი ჯილდო მოაქვს, რამდენიც სხვა პრივილეგირებულ სახეობებს ერთად აღებულს. არადა, ყურადღების მხრივ ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ვართ.

● კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— თანამედროვე სპორტში წარმატებაზე ფიქრი მოკლევადიანი (გრძელზე დიდი ხანია აღარ გვაქვს საუბარი) შეკრებების გარეშე წარმოუდგენელია. ეს ყველამ კარგად იცის. ვისაც ამ მხრივ ბედი სწყალობს, ღმერთმა შეარგოს, „ლელოს“ კორესპონდენტი ესაუბრა სამბისტთა ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელს ოლეგ იაძეს, რომელმაც რამდენიმე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ჩვენში ჭიდაობის ამ სახეობის დღევანდელ მდგომარეობასა და პერსპექტივებზე.

● ჩემპიონატის შედეგებით ალბათ კმაყოფილი ხართ?

— პრეტენზიები მოჭიდავეთა მიმართ, ცხადია, არ გვეთქმის. სამ ასაკობრივ ჯგუფში 14 საპრიზო ადგილი, თანაც

სამგზო

კეთილი საქმის მოლოდინში

● „შევარდენმა“ და მისმა თავმჯდომარემ ბატონმა ბერდია გუგავამ დიდი საქმე გაგვიკეთა. ნახევარი გუნდის ხარჯები უცხოური ვალუტით სწორედ ამ ორგანიზაციამ იკისრა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენი ერთადერთი რეგულარული პატრონი საქართველოს სპორტის დეპარტამენტია. მაგრამ ვიცით, რომ მას ბევრი არ შეუძლია, ყოველ შემთხვევაში იმის საშუალება არა აქვს, რომ ყველა სპორტის სახეობას გასწვდეს. სხვა დამხმარე კი, სამწუხაროდ, არა გვყავს.

● და მაინც, ყველაზე მეტად რის დეფიციტს განიცდით?

— ერთ მაგალითს მოგიყვანთ, დანარჩენი თვითონ განსაჯეთ. რამდენად ნორმალურია, მაგალითად, რომ უსახსრობის გამო ჩემპიონატებზე ვერ მოგვყავს მეორე მწვრთნელი? ან ის, რომ შეჯიბრებებზე ვერ მოგვყვება მსაჯი? მსაჯის ყოფნა შეჯიბრებაზე ჩვენი კაპრიზი არ არის. მსაჯს თავის კოლეგებთან ურთიერთობის შედეგად დიდი სარგებლობა მოაქვს გუნდისათვის, ჩვენ კი ამ „პრივილეგიას“ მოკლებული ვართ.

● თქვენი ნატვრა დაუყოვნებლივ რომ ასრულდებოდეს, რას ინატრებდით ყველაზე მეტად?

— ორ, უკიდურეს შემთხვევაში ერთ ოცდღიან შეკრებას მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რომელიც აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის პირველ რიცხვებში ეწყობა სოფიაში. ეს რომ მოხდეს, წლეულს ჩვენს სპორტს ერთი მსოფლიოს ჩემპიონი მაინც უსათუოდ ეყოლება. არადა, საქმე ისე მიდის, რომ სხვა სახეობებში სახეიროს არაფერს უნდა ველოდოთ.

● ვისზე ამყარებთ განსაკუთრებულ იმედს?

— არის რამდენიმე ბიჭი, რომელთაგან თითოეულს შეუძლია თავის გამოჩენა მსოფლიოს ჩემპიონატზე: 62 კილოგრამში, მაგალითად, მურთაზ თურქია, მამუკა კურდღელაშვილი, ბადრი ჯანიაშვილი, 68 კილოგრამში — არჩილ ჩოხელი, 74 კილოგრამში — ჯონდო მუზაშვილი, 90 კილოგრამში — ივანე გამხიტაშვილი. არის საიმედო რეზერვიც — მამუკა ჯანანაშვილი (82 კგ), იოსებ ახალბედაშვილი (100 კგ), ვალერი პარუნაშვილი (+100 კგ).

უფროსმა მწვრთნელმა სხვაც ბევრი რამ გვითხრა, თანაც გამოთქვა რწმენა, რომ უსათუოდ მოიძებნებიან კეთილი ადამიანები, რომლებიც არ დაიზარებენ თანადგომას და დიდ სამსახურს გაუწევენ ქართულ სპორტს. ამისი, რაღა დაგიმალოთ, ჩვენც გვჯერა.

ორიოდე სიტყვა იმათზეც, ვინც საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატისათვის ამზადებს. მკითხველმა ის მაინც იცოდეს, ვისი შრომაა ჩაყრილი ამ წარმატებაში: უფროსი მწვრთნელი — ოლეგ იაძე, მწვრთნელები — ანზორ ზურაბაული, ნუგზარ ხუციშვილი, გენადი გიორგაძე, სპარტაკ გორგაძე და ემილ ბაბასიანი.

რა ხდება ქვეყანაზე

● **ბარტინა** ნავრატილოვამ მიიღო „შაბლონ ერთ-ერთ საკბილო“ ტელევიზიის წინადადება თანამშრომლობის შესახებ და კომენტარს გაუკეთებს ჩოგბურთელთა წლევანდელი სეზონის ერთ-ერთ მთავარ შეჯიბრებას — უიმბლდონის ტურნირს, მაგრამ ეს მოხდება თავისუფალ დროს. ძირითადად კი უიმბლდონის დღეებში იგი დაკავებული იქნება თამაშით. როგორც ვიუწყებოდით, მარტინა შტეფი გრაფთან ერთად ისპარეზებს წყვილთა ტურნირში.

● **ცნობილი** გახდა სატრეკო ველოსპორტში მსოფლიო თასის მფლობელთა ვინაობა: გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა 4 კილომეტრზე. გრეგ ობრი (ინგლისი) — 4.34,873; გიტი 1 კილომეტრზე. ერვე ტოუე (საფრანგეთი) — 1. 04,480; გამოდევნებით გუნდური რბოლა 4 კილომეტრზე. გერმანია — 4.14,255; სპრინტი 1 კილომეტრზე. პატრის სიულპისი (საფრანგეთი); ჯგუფური რბოლა. ანდრეას ბაიკინი (გერმანია) — 29 ქულა. ოლიმპიური სპრინტი 750 მეტრზე. საფრანგეთი — 47,015.

● **ავტომობილისტთა** სუპერმარათონი ლონდონი — მეხიკო მოიგო ფინელმა ნანუ მიკოლამ (შტურმანი, შვედი გუნარ პალმი). რბოლის ტრასა 16 ათას კილომეტრს შეადგენდა. სტარტზე გამოვიდა 59 ეკიპაჟი, ფინიშის ხაზი კი 47-მა გადაკვეთა.

● **ჩოგბურთის** საერთაშორისო ასოციაციამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ დევისის თასის ნახევარფინალი რუსეთსა და გერმანიას შორის გაიმართება 22-24 სექტემბერს მოსკოვში და არა სხვა რომელიმე ქალაქში, როგორც ეს რუსებს უნდოდათ. მეორე ნახევარფინალისტები (აშშ-შვეიცია) ლას-ვეგასში იასპარეზებენ.

● **კენედის** ცენტრში ახალგაზრდა ექიმთა დიპლომებით დაჯილდოვების ცერემონიალს სხვა სტუმრებთან ერთად დაესწრო მსოფლიოს ექსჩემპიონი კრივში მაიკ ტაისონი, რომლის საცოლე მონიკა ტერნერი ერთ-ერთი კურსდამთავრებული გახლდათ. კოლეჯის რექტორის მიშელ ტებოს განცხადებით ცერემონიალზე ტაისონის ყოფნა სასწავლებლისთვის დიდი პატივი იყო.

● **კვებეკში** გამართულ პრესკონფერენციაზე ჰოკეისტთა ადგილობრივი კლუბის „ნორდიქსის“ პრეზიდენტმა მარსელ ობუმ აღიარა, რომ ფინანსური სიძნელეები იძულებულს ხდის გაყიდოს გუნდი 75 მილიონ დოლარად. ამერიდან „ნორდიქსი“ მთლიანი შემადგენლობით დენვერის ღირსებას დაიცავს. ამით კლუბი დაფარავს 2 წლის დაგროვილ 28 მილიონიან დეფიციტს. შეგახსენებთ, რომ კვებეკის „ნორდიქსმა“ წლევანდელ რეგულარულ ტურნირში II ადგილი დაიკავა.



ხუთი რგოლის გარშემო

● **ატლანტის** ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ტრანსპორტის სამსახურის შეფის განცხადებით, თამაშების დღეებში საკმაოდ რთული პრობლემა იქნება ტრასების მოწესრიგება. მით უფრო, რომ ორგანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ ქალაქის ცენტრალური ქუჩების ორი კვირით გადაკეტვა, რაც დამატებით სირთულეებს შეუქმნის ავტოტრანსპორტს. მაგრამ ეს წინადადება ჯერ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ატლანტის ადმინისტრაციულმა საბჭომ.

● **აშშ-ში** დაიწყო ე.წ. ოლიმპიური ოქროს ლატარიის გავრცელება. სულ გაიყიდება 575 ათასი ბილეთი. არის უამრავი სხვადასხვა სახის ჯილდო. ყველაზე დიდ პრიზად გამოცხადებულია 50-ათასდოლარიანი მოგება, ორი ბილეთი ატლანტის თამაშების გახსნაზე ან დახურვაზე, ოთხი ბილეთი ყველაზე საინტერესო შეჯიბრებებზე და უფასო ცხოვრება სასტუმროში (ჩამოსულთათვის).

● **მონრეალის** XXI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 110 მეტრზე თარჯრბენში გი დრიუ საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა უაკ შირაკმა ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრად დანიშნა.

● **ცნობილი** გახდა ატლანტის ოლიმპიური თამაშების კიდევ ერთი სპონსორის ვინაობა. ეს გახლავთ ელექტრონაწარის ცნობილი კორპორაცია „მოტოროლა“. მისი წვლილი 40 მილიონი დოლარით განისაზღვრება.

მაიკლ სმითი ვეტერანების იმედითაა

დასაწყისი 1-ლ გვერდზე.

ნი“), ფილიპსი („ნოტინგემ ფორესტი“), სიმონსი („პორტსმუტი“), კოლემანი (ლონდონის „კრისტალ პალასი“), 46-ე წუთიდან — უილიამსი („რედინგი“), ბოუენი („ნორვიჩ სიტი“), ჯონსი („უიმბლდონი“), საუნდერსი („ასტონ ვილა“), ჰორნი („ევერტონი“), სპიდი („ლიდს იუნაიტედი“), ჰიუჯი („მანჩესტერ იუნაიტედი“), 89-ე წუთზე შეცვალა პართსონმა („არსენალი“), რაში („ლივერპული“).

ანგარიში მე-8 წუთზე გახსნა საუნდერსმა, 42-ე წუთზე ჰერლიხმა საპასუხო ბურთი გაიტანა — 1-1.

გერმანელები ამ მატჩის შედეგით ძალზე უკმაყოფილო დარჩნენ. იურგენ კლინსმანი: „ამ არადამაკმაყოფილებელი შედეგის მიზეზი უბრალოა: ჩვენ ძალიან ბევრი კარგი შესაძლებლობა ვერ გამოვიყენეთ, პირველ რიგში ეს მე მეხება. მეორე ტაიმში სათამაშო რიტმი დავკარგეთ“. კიდევ უფრო კატეგორიული იყო კრისტიან ციგე: „მეორე ნახევარში ჩვენ უჭკუოდ ვითამაშეთ“. ეს, მით უმეტეს, მოულოდნელი იყო, რომ „ფოგთსის ერაში“ გერმანელები წარმატებით თამაშობენ სწორედ მეორე ტაიმში.

როგორც უელსელთა მწვრთნელმა მაიკლ სმითმა განაცხადა, მისთვის გერმანელებთან შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამდენი დამარცხების შემდეგ გუნდს სწორედ უძლიერეს მეტოქესთან უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი ბრძოლისუნარიანია და გაცილებით უკეთესი, ვიდრე სატურნირო ცხრილში გამოიყურება.

ახლა საქართველოს ნაკრებთან შეხვედრის წინ რაიმე არსებითი ცვლილება უელსელთა გუნდში მოსალოდნელი არ არის. მკითხველმა იცის, რომ ინგლისის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მ. სმითის განკარგულებაში ყველა ცნობილი ოსტატი აღმოჩნდა. მიმომხილველ ოსტატურ როტმილის აზრით, იგი ახლაც ვეტერანებზე ამყარებს იმედს. ამ აზრის საწინააღმდეგოდ სწორეზე თუნდაც გერმანელებთან წარმოდგენილი შემადგენლობა მეტყველებს. ერთადერთი ახალგაზრდა ვარსკვლავი გახლავთ რაიან გიგსი („მანჩესტერ იუნაიტედი“), მაგრამ იგი ბოლო ხანებამდე დაშავებული იყო. ზოგი ექსპერტი ამ თავდამსხმელს „სუპერტალანტსაც“ კი უწოდებს, თუმცა ცნობილია ისიც, რომ გიგსი ხშირად სვამს და დისციპლინაც აკლია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჯორჯ ბესტმა, რომელმაც თავისი დიდი ტალანტი სწორედ ალკოჰოლს შესწირა, პრესაში წერილი გამოაქვეყნა და გიგსს მოუწოდა მაინცდამაინც ნუ მომბაძავო. ბესტის აზრით გიგსი იმეორებს იმ გზას, რაც თვით ჩრდილოირლანდიელმა ოსტატმა გაიარა და თავის უმცროს კოლეგას ურჩევს მეტი კეთილგონიერება გამოიჩინოს. სმითს მიაჩნია, რომ მომავალში ჯონ ჰართსონის იმედი უნდა ჰქონდეს. ეს 20 წლის ჭაბუკი ლონდონის „არსენალში“ თამაშობს და შედეგიანობითაც გამოირჩევა. მას ნაკრებში სულ ორი მატჩი აქვს ჩატარებული, უფრო ზუსტად კი სულ ერთი, რადგან გერმანელებთან მინდორზე გატარებული წუთი თუ წუთნახევარი შეიძლება არც ჩავთვალოთ.

როგორც მიმომხილველები მიიჩნევენ, უელსელებს თავდასხმაში რაიმე პრობლემა არა აქვთ, არჩევანი საკმაოდაა, თუმცა მ. სმითმა უპირატესობა მაინც ჰიუჯ-რაშის მრავალნაცად დუეტს უნდა მიანიჭოს. ისინი არ თამაშობდნენ ბულგარელებთან კარდიფში (1-3), მაგრამ კარგად გამოიყურებოდნენ დიუსელდორფში გერმანელთა წინააღმდეგ.

რაც შეეხება დაცვასა და ნახევარდაცვას, ამ რგოლებში უელსელთა მწვრთნელს საკმაოდ თავსატეხი აქვს და არჩევანიც მცირე. დაცვა ხშირად უშვებს მძიმე შეცდომებს (ამაში თბილისის მატჩმაც დაგვარწმუნა) და მრავალნაცადი მეკარე სოუთჰოლი რომ არა, რომელიც დიდ ბრიტანეთში წლების განმავლობაში ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება, გუნდი იგივე გერმანელებთან მორიგ წაგებას ვერ აიცდენდა.

მაშასადამე, 7 ივნისს უელსელებს კარდიფში თავიანთთვის ჯერჯერობით უმნიშვნელოვანესი მატჩი აქვთ, „უკანასკნელი იმედის“ მატჩი.

გივი გამრეკელი

ფარერის ნაკრების პირველი გამარჯვება

გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის VIII ჯგუფის შესარჩევი მატჩი ფარერის კუნძულებისა და სან-მარინოს გუნდებს შორის. მანამდე არც ერთ გუნდს ქულები არ ჰქონდა, გამარჯვებას მიაღწია ფარერის ნაკრებმა — 3-0, ბურთები გაიტანეს ი-კ ჰანსენმა, რასმუსენმა, იონსენმა.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ფინეთი	6	4	0	2	15-7	12
საბერძნეთი	5	4	0	1	12-4	12
რუსეთი	5	3	2	0	11-1	11
შოტლანდია	6	3	2	1	10-3	11
ფარერის კ-ბი	6	1	0	5	5-22	3
სან-მარინო	6	0	0	6	1-27	0

წაკინკლავდნენ...

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები გადმოსცემენ, რომ ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო შესარჩევი მატჩი ბულგარეთისა და გერმანიის გუნდებს შორის 7 ივნისს შესაძლოა სოფიაში არ შედგეს და გადაიტანონ ნეიტრალურ მინდორზე, ათენში ან ბუდაპეშტში.

მიზეზი? მიზეზი ისაა, რომ ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაცია და ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი წაკინკლავდნენ ფინანსურ საკითხებზე, ეს კინკლაობა მერე მწვავე კონფლიქტში გადაიზარდა და საპრობლემოდ იქცა. ფიზკულტურის კომიტეტი მოითხოვს მატჩის შემოსავლის 30 პროცენტი მას გადაურიცხონ, ფედერაცია კი ამის კატეგორიული წინააღმდეგია, მისმა გენერალურმა მდივანმა ხრისტო იოსიფოვმა კომიტეტის ამ აქციას აღმაშფოთებელი და აშკარა შანტაჟი უწოდა.

* * *

უეფას აღმასკომმა გადაწყვიტა ხორვატიის უკლებლივ ყველა ნაკრებმა [illegible] ხლოეს თვეებში თავის საერთაშორისო მატჩები გამართოს მხოლოდ და მხოლოდ ნეიტრალურ სტადიონებზე (ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხორვატიის ეროვნული ნაკრები ამჟამად ლიდერია ევროპის ჩემპიონატის IV შესარჩევ ჯგუფში). საამისო საბაბი კი ის გახლდათ, რომ ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატის მატჩის დროს ქალაქი ზაგრები ინტენსიური სარაკეტო თავდასხმის ობიექტად იქცა და იქ თამაში სახიფათოა.

ხორვატიის პირველი ნაკრების შესარჩევი მატჩების ჩატარების ადგილს უეფა საგანგებო სხდომაზე გადაწყვეტს.



ნბა-ს ამბები

სამი სენსაცია

„ფინიქსმა“ ნბა-ს ჩემპიონობისათვის ბრძოლის უფლება დაკარგა მეოთხედფინალში, როცა წააგო პლეი-ოფის მეშვიდე გადამწყვეტი მატჩი „ჰიუსტონთან“. ამ მარცხის შემდეგ „ფინიქსის“ ლიდერმა ჩარლზ ბარკლიმ საქვეყნოდ განაცხადა, რომ ახლა უკვე ნამდვილად ანებებს თავს კალათბურთის თამაშს (შეგახსენებთ, რომ ასეთი გადაწყვეტილება პროფესიული კალათბურთის სუპერვარსკვლავმა ერთხელ უკვე მიიღო).

ნაღდად რჩება ნბა-ში და მაშასადამე კალათბურთში „ჩიკაგოს“ ლიდერი მაიკლ-ჯორდანი, რომელზეც პლეი-ოფის სერიაში მისი კლუბის მარცხმა სხვაგვარი რეაქცია მოახდინა. ბარკლისგან განსხვავებით ჯორდანმა თქვა, რომ თამაში ჯერ სიამოვნებას გვრის და ამის გამო უახლოეს მიზნად დაისახა „ჩიკაგოს“ დაუბრუნოს ძველი სახელი და ავტორიტეტი.

და კიდევ ერთი სენსაცია: პროფესიული კალათბურთის ყველა დროის ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავი მეჯიკ ჯონსონი აპირებს „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში“ დაბრუნებას. მეჯიკს, გახსოვთ ალბათ, 1991 წლის ნოემბერში შიდსის ვირუსი აღმოუჩინეს. კალათბურთს მან, ბუნებრივია, თავი დაანება, თუმცა 1992 წელს მაინც ჩაირიცხა „ოცნების გუნდში“ და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. სუპერვარსკვლავი, როგორც ჩანს, თავს კარგად გრძნობს, რადგან სპორტში დაბრუნება გადაწყვიტა. „ლეიკერსი“ სწორედ ის გუნდი იყო, სადაც ჯონსონმა სრულად გამოავლინა თავისი უბადლო ოსტატობა და თორმეტი ბრწყინვალე სეზონი გაატარა.

„ყველაზე სასარგებლო მოთამაშე“

„სან-ანტონიოს“ 29 წლის ცენტრალური თავდამსხმელი დევიდ რობინსონი 1994-95 წლების სეზონის ხედვით ლიგის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედაა დასახელებული. ჟურნალისტთა გამოკითხვაში ამ კალათბურთელმა დააგროვა 901 ქულა, ამასთან, 73-მა გამოკითხულმა იგი პირველ ნომრად დაასახელა. კონკურსში მეორე ადგილზე გავიდა „ორლანდოს“ ცენტრი შაკ

ო' ნილი — 650 ქულა (12 პირველი ადგილი). მესამეზე — „იუტას“ ფორვარდი კარლ მელოუნი — 632 ქულა.

ევროპაში ძვირადღირებული

სულ მალე ხორვატი სტოიან ვრანკოვიჩი ყველაზე ძვირადღირებული ცენტრი იქნება ევროპაში. საბერძნეთის „პანათინაიკოსის“ პრეზიდენტს პავლოს იანაკოპულოსს გადაწყვეტილი აქვს სამწლიან კონტრაქტში 5 მილიონი დალარი შესთავაზოს. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ვრანკოვიჩს თვალი ნბა-ზე უჭირავს, სადაც პირველ ხანებში ალბათ ნაკლები შემოსავალი ექნება. ხორვატთან ინტენსიური მოლაპარაკება აქვთ ნბა-ს კომისრებს, ამიტომ მოსალოდნელია, იანაკოპულოსმა მაზანდა გაზარდოს.

მოკლედ...

კრივი

პაატა გვასალია და რამაზ ფალიანი, როგორც ვიუწყებოდით, კრივში მსოფლიო ჩემპიონატს (და არა ევროპისას, როგორც ადრე იყო აღნიშნული) მეოთხედფინალიდან გამოეთიშნენ, სადაც ისინი ასპარეზობდნენ რუსეთის სახელით. ამ მარცხმა შეიძლება საეჭვო გახადოს მათი მონაწილეობა გაისად ევროპის ჩემპიონატში და შემდეგ ოლიმპიურ თამაშებშიც. სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, რომ თუ ფალიანი და გვასალია ან ერთ-ერთი მათგანი კონკურენციის შედეგად ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდება, მაშინ რუსეთი ამ სპორტსმენებს დაუთმობს საქართველოს და ჩვენ წარვადგენთ მათ საერთაშორისო სარბიელზე.

ხუთი რგოლის გარშემო



უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონის ვალერი ბორზოვის განცხადებით 1996 წელს ატლანტის თამაშებში მონაწილეობას მიიღებს 290 უკრაინელი სპორტსმენი. ისინი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ სპორტის 22 სახეობაში. და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: პრეზიდენტი ამ ოლიმპიადაზე 35-40 მედლის მიღებას ვარაუდობს. წარმატების განსაკუთრებული იმედი აქვს ტანვარჯიშში, ძალოსნობაში და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.



ბრიუსელი აპირებს უმასპინძლოს 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებს. ბელგიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ამჟამად ელოდება ფედერალური მთავრობისა და ქალაქის მუნიციპალიტეტის მოლაპარაკების შედეგებს, რის შემდეგაც ოფიციალურად წამოაყენებს თავის კანდიდატურას (განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 1996 წლის 10 იანვარი). ამ ოლიმპიადის მასპინძლობას აპირებენ, აგრეთვე, რიო-დე-ჟანეირო, სან-ხუანი, სტამბოლი, რომი. გარკვეულ ინტერესს იჩენს სანკტ-პეტერბურგის მერი ანატოლი სობჩაკიც. ნევის ნაპირებზე, ამ ცოტა ხნის წინ, იყვნენ სოკის ექსპერტები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ქალაქს სულ სამად-სამი ბაზა ექნება ასაგები: ველოდრომი, წყლის სახეობათა ცენტრი და კეტბურთის სტადიონი. სანკტ-პეტერბურგის მერის აზრით, თუ ქალაქი მიიღებს ოლიმპიადის ჩატარების უფლებას, ყველა ბაზა მზად იქნება თამაშების გახსნამდე ერთი წლით ადრე. სნგ-ს სპარტაკიადის დღეებში სანკტ-პეტერბურგს ეწვია სოკის პრეზიდენტი ხ.ა.სამარანჩი და პირადად დარწმუნდა ამ ქალაქის შესაძლებლობებში.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **ბარბაროსული** აქცია ჩაიდინეს ფეხბურთის ფანატიკოსებმა ამას წინათ კრასნოდარში. „კოლოსისა“ და „ზენიტის“ მატჩის შემდეგ ისინი სასტუმროს ჰოლში თავს დაესხნენ მსაჯს სერგეი ჭუსაინოვს, ჩასვეს მანქანაში, გაიტაცეს და პირწმინდად გაძარცვეს.

კიდევ უფრო სასტიკად მოექცნენ კისლოვოდსკელ მსაჯს სერგეი როშჩინს. როსტოვის არმიელთა გუნდისა და ტაგანროგის „ტორპედოს“ მატჩის შემდეგ ფანატები ჯერ კიდევ სტადიონზე მისცვივდნენ არბიტრს, უმოწყალოდ სცემეს და მერეც, უკვე შინ გამგზავრებულს, მანქანაში გაუსწორეს საბოლოო „ანგარიში“, ყოველივე ამის შედეგად როშჩინს ორი კვირა მოუხდა მკურნალობა როსტოვის საავადმყოფოში.

● **ცნობილი** იტალიელი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი მომავალ სეზონში სათავეში ჩაუდგება სარდინიის კლუბს „კალიარის“.

● **უილბლედ** წარიმართა ლონდონის „არსენალის“ ტურნეა „ზაში. ჯერ იყო და ჩინეთში ფეხი მოიტეხა მეკარე დევიდ სიმენმა, მერე კი 22 წლის თავდამსხმელმა რეი პარლორმა ჰონკონგში საშინლად სცემა რიკუშას, რისთვისაც მოზრდილი ჯარიმა უნდა გადაიხადოს. თვით რ. პარლორმა განაცხადა, რომ მთვრალი იყო და არაფერი ახსოვს.

● **ახლახან** მომხდარ უწესრიგობათა გამო ორი კალენდარული მატჩით დისკვალიფიცირებულია ქ. მაიკოპის სტადიონი, ხოლო ოთხით — ნიუნი ტაგილის სტადიონი. სხვადასხვა ვადით აეკრძალათ თამაში რამდენიმე ფეხბურთელს.

● **ლონდონის** სასამართლომ გაამართლა ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ 27 წლის ნახევარმცველი პოლ ინსი, რომელსაც ბრალად ედებოდა ერთ-ერთ გულშემატკივართან ატეხილი მუშტიკრივი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს იყო თვით გულშემატკივრის პროვოკაცია.

● **ინგლისის** საუკეთესო კლუბები ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებს მართავენ აზიასა და ავსტრალიაში. „ნოტინგემ ფორესტმა“ ავსტრალიაში დაამარცხა „ადელაიდა“ (1-0), „ვესტ ჰემმა“ სიდნეიში მოუგო ავსტრალიის ოლიმპიურ ნაკრებს (1-0), ხოლო „ტოტენჰემმა“ ჩინეთში — „ჯანტონს“ (2-1).

● **მოზარდ** ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გაიმართა მოსკოვში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთისა და თურქეთის გუნდები. წარმატებას მიაღწიეს თურქებმა — 1-0. ეს ერთადერთი ბურთი მე-80 წუთზე გაიტანა ტეჩემ.

● **ცნობილი** ჰოლანდიელი თავდამსხმელი მარკო ვან ბასტენი, რომელიც ამჟამად იტალიის „მილანის“ შემადგენლობაშია, მძიმე დაშავების გამო უკვე ორი წელიწადია ვერ გამოდის მინდორზე. ამას წინათ ბელგიის კლინიკაში პროფესორ მარკუ მარტინესის მეთაურობით გაიმართა კონსილიუმი (ვან ბასტენმა აქ მუხლის 4 ოპერაცია გადაიტანა), მაგრამ გარკვეული დასკვნა ჯერ არ გამოუტანიათ. „მილანს“ იმედი აქვს, რომ 30 წლის მარკო ვან ბასტენი მაინც დაუბრუნდება მწყობრს.

კიდევ ერთი ცნობა ავადმყოფი ფეხბურთელის შესახებ: ფრანგი თავდამსხმელი ჟან პიერ პაპენი მენისკის ოპერაციის შემდეგ თანდათან უკეთესად გრძნობს თავს. მოელიან, რომ იგი კვლავ ითამაშებს მიუნხენის „ბაიერნში“.

● **ევროპის 2000** წლის ჩემპიონატის მოწყობა განზრახულია ერთობლივად ბელგიასა და ჰოლანდიაში. უეფას კომისიამ ამას წინათ შეამოწმა იმ ქალაქების სტადიონები, სადაც უნდა გაიმართოს ჩემპიონატის მატჩები (ბრიუსელი, შარლეროა, ლიეჟი, ბრიუგე, ამსტერდამი, როტერდამი, ეინდჰოვენი, უტრეხტი). კომისია თავის დასკვნას წარუდგენს უეფას.

● **იტალიის** „პარმამ“ სულ ახლახან დიდი ზეიმით მოიგო უეფას თასი. კლუბის შემადგენლობაში გამოდის კოლუმბიელი ფეხბურთელი ფაუსტინო ასპირილია და გამოირკვა, რომ იგი თურმე უნებართვოდ ატარებდა ცეცხლმსროლელ იარაღს. მოსალოდნელია სასამართლოზე, თუ ასპირილიას მინიმალური სასჯელი გამოუტანეს (ერთი წელი), მას თავდებით გაუშვებენ, მაგრამ თუ სასჯელი უფრო მკაცრი იქნა, „პარმის“ ფორვარდი მას საპყრობილეში გაატარებს. იმედოვნებენ, რომ სასამართლო მოწყალებას გამოიჩენს „პარმის“ ფორვარდის მიმართ, ვინაიდან მან გულწრფელად აღიარა დანაშაული და ძიებასაც დაეხმარა.

● **1994** წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა მეოთხედ მოიპოვეს ჩემპიონის წოდება, მათ ხელმძღვანელობდა ცნობილი კარლოს ალბერტო პარეირა. სულ ახლახან კპარეირა მიიწვიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში და ფრიად ხელსაყრელი კონტრაქტი შესთავაზეს. 52 წლის სპეციალისტმა ჯერჯერობით თავი შეიკავა, მას გადაწყვეტილი აქვს კიდევ ერთი წელი იმუშაოს ესპანეთის „ვალენსიასთან“ თუ ამის შემდეგ კლუბი უარს იტყვის მის სამსახურზე, მაშინ კარეირა შესაძლოა დათანხმდეს ამერიკელთა წინადადებას.

პროფესიულ რინგზე

ჰოლიფილდის მესამე აღზევება



ევანდერ ჰოლიფილდი

ცამეტთვიანი შესვენების შემდეგ რინგს დაუბრუნდა მსოფლიოს ექსჩემპიონი სუპერმძიმე წონაში ევანდერ ჰოლიფილდი. იგი ატლანტიკ-სიტიში შეხვდა საკმაოდ ძლიერ მეტოქეს რეი მერსერს და დაამარცხა დაძაბულ ბრძოლაში. თუმცა ეს უკანასკნელი ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში — ერთხელ მერვე რაუნდში და მეორედ საფინალო გონგამდე 27 წამით ადრე. ალბათ ამიტომ, ორმა მსაჯმა გამარჯვება მიანიჭა მას დიდი უპირატესობით — 96:93 და 97:92 (მესამე მსაჯი, მიმომხილველთა აზრით, უფრო ზუსტი იყო — 95:94). მატჩს ესწრებოდა 12 ათასი მაყურებელი.

როგორც აღინიშნავენ, ამ წარმატებით ევანდერ ჰოლიფილდს გაუჩნდა შანსი მესამედ გახდეს მსოფლიო ჩემპიონი. ყოველ შემთხვევაში, უკვე აშკარაა, რომ ექსჩემპიონი იბრძოლებს თავისი უფლებების აღსადგენად.

შეგახსენებთ, რომ პროფესიულ კრივში დღეს სამი პრესტიჟული ვერსიაა. სუპერმძიმე წონაში ჩემპიონის ტიტულს ფლობენ: კრივის მსოფლიო ფედერაციის ვერსიით — ჯორჯ ფორმენი, კრივის მსოფლიო საბჭოს ვერსიით — ოლივერ მაკოლი, კრივის მსოფლიო ასოციაციის ვერსიით — ბრიუს სელდონი.

რაც შეეხება ტაისონთან შეხვედრას, ამ თემაზე საუბარს ჰოლიფილდი გაურბის და, ამდენად მაინც და მაინც დიდ ოპტიმიზმს არ იჩენს.

კალათბურთიდან — ქართული სპორტის პრობლემებისკენ!

ევროპის შესარჩევი ტურნირიდან ვაჟ კალათბურთელთა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა შინ დაბრუნების შემდეგ გაცილებით ფართო ყურადღება მიიპყრო, ვიდრე ტურნირზე გამგზავრებამდე. მილოცვები, მიღებები და შეხვედრები, პრესკონფერენცია, ჩინებული გამოხმაურება პრესასა და რადიო-ტელევიზიაში...

შეხვედრა პარლამენტში მაინც გამორჩეული იყო. გამორჩეული, თუნდაც იმიტომ, რომ კალათბურთელთა პრობლემებზე მსჯელობა გაიშალა არა განყენებულად, არამედ წინა პლანზე ის საკითხები წამოიწია, რაც საერთოა ქართული სპორტისათვის და კარგა ხანია გადაჭრას მოითხოვს.

ქართული სპორტისადმი, ამ ეროვნული ფენომენისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება დროა სასიკეთოდ შეიცვალოს. ევროპის შესარჩევ ტურნირში ჩვენი კალათბურთელების წინგადადგმულმა ნაბიჯმა სახელოვნად წარმოაჩინა უცხოეთში ჩვენი ქვეყანა, ეს დიდი სტიმული იყო არა მხოლოდ თვით გუნდისათვის, არამედ მოზარდი კალათბურთელებისთვისაც, რომლებიც უფროსების კვალში დგანან. თუნდაც ის რად ღირს, რომ ყოველი ასეთი წარმატება პოლიტიკურ ჟღერადობასაც იძენს, რწმენას მატებს ადამიანებს, რომ აღარაფერი ვთქვათ, საერთოდ, სპორტის გამაერთიანებელ მნიშვნელობაზე — ეს საკითხები დომინირებდა კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრებისა და მისი ხელმძღვანელობის შეხვედრისას პარლამენტის სპიკერთან ბატონ ვახტანგ გოგუაძესთან.

თვით ფაქტი, რომ ნაკრების შინდაბრუნებისთანავე შედგა ეს შეხვედრა სპორტისა და ტურიზმის საპარლამენტო კომისიის თაოსნობით (თავმჯდომარე ბ. ხურციძე), თავისთავად მეტყველებს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მაღალ ყურადღებაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ აგრეთვე პარლამენტარები რ. მიმინოშვილი და გ. გეწაძე. ალბათ ეს შეუძლებელი იყო თორემ, ნაკრები პარლამენტართა სრული შემადგენლობის წინაშე რომ წარმდგარიყო, მაშინ ბევრი დაფიქრდებოდა ისეთი გაჭიანურებული საკითხების დროულად გადაწყვეტის აუცილებლობაზე, როგორიცაა ბიუჯეტში სპორტისათვის სახსრების გამოყოფა, სპორტისა და მათი ხელშემწყობი ფირმებისათვის შეღავათების (გარდა ცნობილი ოთხი ფირმისა) დაწესება, სპორტსმენთა წახალისებისათვის ზრუნვა და ა.შ.

ნაკრების უფროსმა ჯამლეტ ხუხაშვილმა უპრეცედენტო უწოდა იმ ფაქტს, რომ ევროპაში, ასეთ საპასუხისმგებლო ტურნირში, შემადგენლობა შეკრების გარეშე გაეგზავრა. გუნდმა 18 საათი იმგზავრა და ჩასვლიდან 5 საათის შემდეგ გავიდა მოედანზე, ამას დაუმატეთ სხვაობა დროში, აკლიმატიზაციაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება. შეაჯამა რა უშეღავათო ბრძოლები ისეთი ქვეყნების წარმომადგენლებთან, რომლებმაც საერთოდ არ იციან რა არის სპორტსმენთა პროფესიული თუ ყოფითი პრობლემები, ბ. ხურციძემ ასეთ პირობებში ჩვენი ნაკრების წარმატებას ნამდვილი გმირობა უწოდა და დასძინა, რომ ამ გმირობას დაფასება უნდა. პარლამენტის სპიკერმა ხაზგასმით თქვა: „პარლამენტი ყველაფერს გააკეთებს, რათა სპორტს ეშველოს, მოსაფიქრებელია სპორტისა და სპორტსმენთა დახმარების ისეთი პროგრამა, რომლებიც ყველა პრობლემურ საკითხს მოიცავს“. რ. მიმინოშვილმა კი გუნდს ასე მიმართა: „დალხინებული ქვეყნების სპორტსმენებთან ვაუკაცური პაექრობა თქვენ შეგაძლებინათ თქვენი სამშობლოს სიყვარულმა და თავდადებამ. თქვენ აჩვენეთ ევროპის საკალათბურთო სამყაროს ვინა ვართ და რაკი ვაჩვენეთ, ვალითაც გამოგვისტუმრეს, რომ მომავალში არ შეევრცხვეთ.“

კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებს მეტ თანადგომას და მხარდაჭერას დაპირდნენ პარლამენტარი, ცნობილი ქველმოქმედი გ. გეწაძე და საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მ. მნათობიშვილი.

საკუთარი ინფორმაცია

რედაქციისაგან: VI ეროვნული ჩემპიონატის დადებით თუ უარყოფით მოვლენებზე ჩვენ მომავალში ვისაუბრებთ. მაგრამ ის, რომ, განსაკუთრებით გათამაშების ბოლო სტადიაზე, ბევრი უცნაური ამბები დატრიალდა (არალოგიკური შედეგით დამთავრებული მატჩები, ასტრონომიული, თითქმის სახელბურთო შედეგები, ბომბარდირების სარეკორდო, „გინესის წიგნში“ შესატანი უხვგოლიანობა და სხვ.), გვაფიქრებინებს, რომ უფრო კრიტიკულად მივუდგეთ ეროვნული ჩემპიონატისა თუ თასის გათამაშების გამართვას.

ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

● ბათუმი

ბათუმის ქუჩებში, ხალხის თვალწინ, კარატეს ახალგაზრდა ოსტატებმა მყარი საგნების მტვრევის ტექნიკის საჩვენებელი დემონსტრირებით მიიპყრეს ყურადღება. ისინი აქ ჩავიდნენ თბილისიდან, თელავიდან, საგურამოდან, ქობულეთიდან, რათა ბათუმელებთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ „ძლიერთა ტურნირში“, რომელიც მოაწყეს „იოკუშინკაიკან“-ის საქართველოს ფილიალმა და ბათუმის კლუბმა „რაინდი-94“. შეჯიბრებას ადგილობრივ ცირკში უამრავი მაყურებელი დაესწრო.

საკ. კორ.

● ზუგდიდი

ზუგდიდში გაიმართა ფოთელი მოკრივის ზურაბ სარსანიას ხსოვნის ტურნირი. ქუთაისის, სენაკის და ფოთის ოსტატებთან ჭიდილში დიდ წარმატებას მიაღწიეს მასპინძლებმა, კლუბ „ლიკვის“ (ლიკვი მეგრულად მუშტს ნიშნავს) წარმომადგენლებმა. მათ ამ ტურნირში გუნდური პირველობა მოიპოვეს.

გენრიეტა წიწავა

● თბილისი

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტის (იფი) რექტორის ნინო ნიშნიანიძის თაოსნობით წლეულს მეორედ გაიმართა მინიფეხბურთელთა ტურნირი გარდამავალ თასზე, არასახელმწიფოებრივი უმაღლესი სასწავლებლების გუნდებისათვის. ფინალში საქმე პენალტების სერიამდე მივიდა. საბოლოოდ იფი-ს „მილანმა“ მოუგო ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის გუნდს „გაენათი II“-ს და თასს დაეუფლა. ამავე სასწავლებლის მეორე გუნდმა, „გაენათი I“-მა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში სძლია იფი-ს „იუვენტუსს“. შეჯიბრებას გლდანის დასახლებამ (ხელბურთის სკოლა) უმასპინძლა.

თენგიზ გახტაძე

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

დასაწყისი პირველ გვერდზე.

მაშ ასე, მას შემდეგ, რაც ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობას ეზიარა, მიილია ექვსი ეროვნული ჩემპიონატი და ყველა გათამაშებაში პირველობა თბილისის „დინამომ“ არავის დაუთმო. მიუხედავად იმისა, რომ გვიანი შემოდგომიდან დღემდე გუნდის ძირითადი შემადგენლობიდან 3-4 ფეხბურთელის გარდა ყველა „გალეგიონერდა“, გამოიცვალა სამი (!) მთავარი მწვრთნელი, „დინამომ“ მაინც შეძლო დუბლის გაკეთება.

ვულოცავთ რა თბილისელებს ამ დიდ წარმატებას, გამოვთქვამთ იმედს, რომ მოახლოებულ ევროტურნირებში, რომელთა წილისყრაც 12 ივლისს გაიმართება (საკვალიფიკაციო მატჩები ჩატარდება 8-10 და 22-24 აგვისტოს), დინამოელები კარგი თამაშით გაგვახარებენ.

ორი გერმანელი დნეპროპეტროვსკში

გერმანულმა ჟურნალმა „კიკერმა“ გამოაქვეყნა მთავარი რედაქტორის, ცნობილი მიმომხილველის კარლ-ჰაინც ჰაიმანის წერილი უკრაინული ფეხბურთის შესახებ. აქ ლაპარაკია იმ ცვლილებებზე, რაც ამ ქვეყნის ფეხბურთში ხდება.

დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ სათავეში ჩაუდგა ცნობილი გერმანელი სპეციალისტი ბერნდ შტანგე. ბ.შტანგეს გერმანიაში გამოცდილი სპეციალისტის სახელი აქვს, უწინ მუშაობდა ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების მთავარ მწვრთნელად. 1990 წლის შემდეგ, როცა გერმანია გაერთიანდა, იგი ბერლინის „ჰერტას“ ედგა სათავეში. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენელ რესპუბლიკაში უცხოელ სპეციალისტს იწვევენ, ბ.შტანგეს კონტრაქტი ძალაშია 1996 წლის 30 ივნისამდე, წარმატების შემთხვევაში იგი შეიძლება გაგრძელდეს, თუმცა „დნეპრის“ მესვეურებს წინასწარი საუბარი ცნობილ მწვრთნელ ვალერი ლობანოვსკისთანაც ჰქონდათ, რომელიც ახლა საუდის არაბეთში მუშაობს.

„დნეპრმა“ ახალი მწვრთნელის ხელში უკრაინის თასის მეოთხედფინალში დაამარცხა შეპეტოვკის „ტემპი“, სადაც ძმები კაპანაძეები, ჩიხრაძე, გაბისკირია, ჯუღელი, რუსია და სხვები თამაშობენ. კარგად წარმართა „დნეპრმა“ ტრადიციული მეტოქე „ზარიასთან“ (ლუგანსკი) უკრაინის პირველობის მატჩიც, რომელიც გამანადგურებელი ანგარიშით (6-0) მოიგო. ახლა „დნეპრის“ მესვეურები აპირებენ ისეთი გუნდის შექმნას, რომელიც კიევის „დინამოს“, დონეცკის „შახტიორსა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ გაუწევს კონკურენციას.

მწვრთნელთან ერთად „დნეპრის“ ხელმძღვანელობამ ერთი გერმანელი ფეხბურთელიც მიიწვია, 27 წლის ანდრეას ზასენი. იგი ჯერ იურდინგენის „ბაიერში“ თამაშობდა, შემდეგ კი დრეზდენის „დინამოში“. ზასენი მეტად უდისციპლინო ფეხბურთელია, რისთვისაც გერმანული ფეხბურთის „უძღები შვილის“ სახელი დაიმსახურა. „დნეპრის“ მესვეურებმა მას აგრძნობინეს, რომ თუმცა კონტრაქტი ერთწლიანია, თუნდაც უმნიშვნელო დარღვევასაც კი არავინ აპატიებს. „ზასენმა იცის, რომ მას ამჯერად ფეხბურთელის კარიერის გაგრძელების უკანასკნელი შანსი მიეცა“.

გივი თორელი

ფეხბურთის მიმომხილველები...

თუ თქვენ გსურთ დაამზადოთ საუკეთესო, ვიმეორებთ, მხოლოდ საუკეთესო ხარისხის და მხატვრულად გამორჩეული ფერადი სავიზიტო ბარათები, სატიტულო ბლანკები, პირადობის მოწმობები (ლამინირებით), მოსაწვევი თუ მისალოცი ბარათები (ქართულ და უცხოურ ენებზე), აგრეთვე ბეჭდები და შტემპელები, მოგვმართეთ გაზეთ „ლელოს“ კომერციულ სამსახურს. ვიმეორებთ, ხარისხი გარანტირებულია.
მისამართი: კოსტავას 14, „ლელოს“ რედაქცია. ტელეფონი: 99-56-14. შიდა ტელეფონი 7-50

- შევიძენთ ტანვარჯიშულ შვედურ კედელს. დარეკეთ: 99-56-14.
- შეგახსენებთ, რომ „ლელოზე“ ხელმოწერა გრძელდება.
- გაზეთების გამავრცელებლებთან იყიდება ქართული, რუსული, აზერბაიჯანული და სომხური სკოლების გამოსაშვები კლასების საგამოცდო ბილეთები.

კარლო შენგელიას არ ივიწყებენ

ამ დღეებში რუსეთის ველოსიპედისტთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად (ტრეკზე) დაინიშნა ჩვენი თანამემამულე კარლო შენგელია, რომელიც ერთხელ უკვე, თანაც საკმაოდ დიდი ხნით, ავარჯიშებდა საბჭოთა კავშირის ნაკრებს. შენგელიას ხელში გუნდმა საკმაოდ სოლიდური წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ოფიციალურ ჩემპიონატებში. მერე კარლო შენგელია საქართველოს ველოსიპედისტთა ნაკრები გუნდის ხელმძღვანელი იყო.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ნ. მასურაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჭილაური.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

გარდაიცვალა კრეშემირ ჩოსიჩი

იგი იუგოსლავიურ კალათბურთში ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო. ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდა 17 წლის მანძილზე (1967 წლიდან 1983 წლამდე). ამ ხნის განმავლობაში ჩატარებული ჰქონდა 301 მატჩი. იყო მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1980). ორჯერ ფლობდა ვერცხლის ოლიმპიურ მედალს (მეხიკოში 1968 წელს და მონრეალში — 1976 წელს). ორჯერ იყო მსოფლიოს და სამჯერ ევროპის ჩემპიონი. შვიდჯერ შეიყვანეს ევროპის საუკეთესოთა ხუთეულში.

სწავლობდა აშშ-ში, თამაშობდა ბრაიემ იანგის უნივერსიტეტის გუნდში, იცავდა ნბა-ს კლუბის — „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ ღირსებას. იგი პირველი ევროპელი კალათბურთელი გახლდათ, რომელმაც დაიმსახურა სტუდენტური ლიგის ყველა ვარსკვლავის გუნდში თამაშის უფლება.

მუშაობდა მწვრთნელად ჯერ იუგოსლავიაში, მერე საბერძნეთში, ბოლოს დიპლომატი გახდა: იყო ხორვატიის საელჩოს თანამშრომელი აშშ-ში.

საქართველოს ხელბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს ხელბურთში თამაზ ჩხარტიშვილს
მამის
გარდაცვალების გამო.

სროლის სახეობებისა და მშვილდოსნობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა სპორტის ოსტატი სასტენდო სროლაში
ზაზა ზანდარაშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. ● დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) შედის გაზეთის ფასში.